სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/188

ქ. თბილისი

18 ნოემბერი 2025წ

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით და მათი ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2025 წლის 13 ნოემბრის საბჭოს სხდომის №8 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 ნოემბრის №01-05-02/26 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“, ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი რამაზ ტყემალაძე.
   1.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“, ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ხათუნი ამყოლაძე.
   1.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“, ხელმძღვანელი - პროფესორი ნია ნათბილაძე.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**